



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

1. პროგრამის სახელწოდება: „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“
პროგრამის სახე: <input type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input checked="" type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 6, მაქსიმალური - 10
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: მსმენელი უნდა ფლობდეს - ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი, გამოყენებითი ბიომეცნიერების, ბიოტექნოლოგიის, გარემოს დაცვის, აგრარული, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფარმაცოლოგიის მიმართულებებით ან/და ლაბორატორიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პროფესიულ კვალიფიკაციას (შემდეგი მიმართულებით: ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი; ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი; ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი; ქიმიური წარმოების სპეციალისტი; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი; სამედიცინო და ფარმაცევტულ მონაცემთა ანალიტიკა; ფარმაცია და ფარმაციის თანამშენი; ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი).

პროგრამის მიზნები:

პროგრამის შექმნის მიზანია თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციების გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში უწყვეტი პროფესიული განათლების განვითარების გზით.

პროგრამის ძირითადი ამოცანაა გადაამზადოს ლაბორატორიული სფეროს სპეციალისტები ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის მიმართულებით კომპეტენციებისა და ცოდნის გაძლიერების გზით ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა;
2. სპეციფიკურ გარემოში ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობა;
3. საფრთხის შემცველი მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების მართვა და დეკონტამინაცია;
4. გადაუდებელ შემთხვევებში (ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ან ბუნებრივი კატასტროფები/უბედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა) პრობლემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

წინამდებარე პროგრამა შედგენილია; ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის განხორციელების სანაწიის ეტაპზე ჩატარდა დარგში არსებული სიტუაციური ანალიზი და გამოიკვეთა ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემები დაინტერესებული და უშუალოდ ლაბორატორიულ საქმიანობაში ჩართული პირების გადამზადების საჭიროება. იხილეთ დეტალური ინფორმაცია - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ დასაბუთების დოკუმენტში.

პროგრამის მოკლე აღწერა:

გადამზადების პროგრამის ფარგლებში მსმენელი გაეცნობა ლაბორატორიული უსაფრთხოებისა და პერსონალის ჯანმრთელობის პრაქტიკულ კურსს, რაც მოიცავს საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების განსაზღვრას და შეფასებას, ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის პრინციპების გაცნობას, უსაფრთხოების დონეების გაცნობას, დეზინფექცია/დეკონტამინაციის და ნარჩენების მართვის პრინციპებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს.

მსმენელს ექნება საშუალება პრაქტიკული და სიმულაციური სავარჯიშოების საშუალებებით გაიმყაროს მიღებული ცოდნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, ინციდენტის დროს რეაგირების, დეკონტამინაციის და ნარჩენების განკარგვის შესახებ.

პრაქტიკული სავარჯიშოების ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა გუნდში მუშაობისთვის საჭირო და საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარების გაუმჯობესებას.

სასწავლო პროცესი წარიმართება მაღალკვალიფიცირებული პერსონალის ჩართულობით თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიუმში.

მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: 1) განმავითარებელ შეფასებას - ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და ტარდება სწავლების პარალელურად; 2) განმსაზღვრელ შეფასებას - ხორციელდება მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე, რაც გულისხმობს 2 ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
 განმსაზღვრელი შეფასება ტარდება სწავლის მე-4 კვირის ბოლოს.
 პროგრამა გრძელდება 4 კვირა. კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს არაუმეტეს 15 სთ.
 პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და დანართი.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თ ე მ ა ტ ი კ ა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1.	<ul style="list-style-type: none"> ლაბორატორიული საფრთხეების იდენტიფიცირება ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური და რადიოლოგიური საფრთხეები ლაბორატორიული რისკების შეფასება ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური და რადიოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით 	1	15 სთ.	ლექცია, პრაქტიკული მცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა, ან/და ტესტი;	A, C
2.	<ul style="list-style-type: none"> ლაბორატორიული საფრთხეების კონტროლი - ლაბორატორიის მონაცობა და უსაფრთხოება (ბიოლოგიური, ქიმიური, რადიოლოგიური და გამოყენებითი ფიზიკის ლაბორატორიები). 	1, 3	15 სთ.	ლექცია, პრაქტიკული მცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა, ან/და ტესტი;	A, C

3.	<ul style="list-style-type: none"> • ადმინისტრაციული კონტროლი ლაბორატორიებში ადმინისტრაციული კონტროლი ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ ლაბორატორიებში; ბიოუსაფრთხოების უწყვეტი განათლების სწავლების პროგრამები. • სპეციფიკურ გარემოში უსაფრთხო ლაბორატორიული მუშაობის წესები უსაფრთხოება სასწავლო ლაბორატორიებში; ბიოუსაფრთხოების პროგრამა კლინიკურ/კვლევით და ვეტერინარულ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში; უსაფრთხოების ნორმები ბიოუსაფრთხოების ლაბორატორიებში. 	1, 2	15 სთ.	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა.	A, C
4.	<ul style="list-style-type: none"> • გადაუდებელი შემთხვევები და შრომის უსაფრთხოება ლაბორატორიებში გადაუდებელი შემთხვევები (ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფები/უბედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა (მაგ. მოკლე ჩართვა, აფეთქება); ბუნებრივი კატასტროფები (მაგ. ხანძარი, მიწისძვრა); მონიტორინგის, შერბილებისა და პრევენციის გეგმების შედგენა. 	4	11 სთ.	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა,	C
	განმსაზღვრელი შეფასება	1, 2, 3, 4	4 სთ.	-	გამოკითხვა, პრაქტიკული დაფალება დაკვირვებით	A, C